ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. ლ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.02.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 025/19

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი ნ. გ. /სიითი #/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. გ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 16 ნოემბერს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ლ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. გ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2019 წლის 18 მარტს საჩივრის ავტორმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინაა ზეპირი ახსნა-განმარტება. საჩივრის ავტორის დედა - ც. ლ. ავადმყოფობის გამო ვერ გადაადგილდებოდა, რის გამოც, მან სამკვიდრო საქმის წარმოება მიანდო მის შვილს მ. ლ.-ს, რომელმაც აღნიშნულ საქმეზე საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, საერთო ახლობლის მეშვეობით მიმართა ადვოკატ ნ. გ.-ს.

1.2 საჩივრის ავტორი ადვოკატს შეუთანხმდა, რომ საადვოკატო მომსახურების განხორციელებისთვის გადაუხდიდა ჰონორარის სახით 1500 ლარს. შეთანხმების შესაბამიად, მ. ლ.-მ საადვოკატო მომსახურების დაწყების ეტაპზე, გადასცა ჰონორარის ნაწილი - 750 ლარი. ადვოკატმა საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ მინდობილობა არამხოლოდ მის სახელზე, არამედ მისი მეუღლის ადვოკატ მ. ხ.-ის სახელზე გაეფორმებინა მას, რომელიც სისხლის სამართლის სპეციალიცაზიის იყო. საჩივრის ავტორისთვის გაუგებარია, რატომ მოსთხოვა ადვოკატმა ნ. გ.-მ აღნიშნული მინდობილობის გაფორმება.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ნ. გ.-მ „ფაქტიურად არაფერი გააკეთა მის საქმესთან დაკავშირებით“. მ. ლ.-მ ადვოკატ ნ. გ.-ს გადასცა სარჩელის სასამართლოში წარდგენისთვის ყველა საჭირო დოკუმენტი, ადვოკატს დამატებით არაფერი მოუძიებია, გარდა, საჯარო რეესტრიდან ნასყიდობის ხელშეკრულების გამოთხოვისა.

1.4 მომჩივანის განმარტებით, ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართვის საფუძველზე სასამართლომ სადავო ქონება დააყადაღა, აგრეთვე, ადვოკატმა წარადგინა სარჩელი სასამართლოში, თუმცა „არაკომპეტენტურად იყო შევსებული“, რომელიც ისე წარუდგინა სასამართლოს, რომ არ გააცნო მისი შინაარსი. ადვოკატ ნ. გ.-ს სარჩელში არასწორად ჰქონდა მითითებული მოპასუხის - გ. ა.-ის საკონტაქტო ნომერი, მათ შორის, შეტყობინება გაუგზავნა არასწორ მისამართზე. ადვოკატმა სარჩელს დაურთო საჩივრის ავტორის მიერ გადაცემული დოკუმენტების ასლები - საჯარო რეესტრის მოთხოვნის ბარათები, ისეთი სახით, რომ მისი წაკითხვა შეუძლებელი იყო და ფურცლებზე მხოლოდ შავი ფონი ჩანდა. ადვოკატმა სარჩელში არასწორად აღნიშნა, რომ მოპასუხე მხარემ - დ. ლ.-მ სამკვიდრო მოწმობა 6 თვეში მიიღო განაცხადის წარდგენიდან, ნაცვლად 4 თვისა.

1.5 საჩივრის ავტორს ადვოკატმა ნ. გ.-მ განუცხადა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში „დიდი რიგები იყო“ ამიტომ, სარჩელი ახალციხის რაიონულ სასამართლოს წარუდგინა.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ნ. გ.-მ საქმის მიმდინარეობის დროს, მოსთხოვა ჰონორარის მეორე ნაწილის გადახდაც, სატელეფონო საუბრისას, ადვოკატმა „წივილ-კივილი ატეხა“, უთხრა, რომ მისი შეკითხვებით დაიღალა. საჩივრის ავტორმა მ. ლ.-მ ადვოკატს მოწიწებით და თხოვნით მიმართა, რომ პირველი სასამართლო სხდომა გამართულიყო და შემდგომ, შეძლებდა ჰონორარის მეორე ნაწილის გადახდას. საჩივრის ავტორის განცხადებით, ის ადვოკატ ნ. გ.-სთან შეთანხმებული იყო, რომ ჰონორარი სრულად „საქმის ბოლომდე დამთავრების“ შემთხვევაში უნდა დაეფარა.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ნ. გ.-მ არ ისურვა მასთან შეხვედრა და გასაუბრება, თავისი ინიციატივით შეწყვიტა საჩივრის ავტორის საადვოკატო მომსახურება და საჩივრის ავტორის შვილის მეშვეობით დააბრუნა საქმის მასალები.

2. მოწმე გ. ჩ.-ის ახსნა-განამრტება:

2.1 მოწმე გ. ჩ.-მ 2019 წლის 18 მარტს წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, მას ჰქონდა ინფორმაცია დედისგან - მ. ლ.-ისგან, რომ საერთო ნაცნობის მეშვეობით, საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, სამკვიდრო დავასთან დაკავშირებით, მიმართა ადვოკატ ნ. გ.-ს. მოწმის განმარტებით, ის ესწრებოდა ადვოკატისა და მ. ლ.-ის პირველ შეხვედრას. შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატს უნდა ეწარმოებინა საჩივრის ავტორის საქმე, რაც მოიცავდა საბუთების შეგროვებას, სარჩელის მომზადებას, სასამართლოში საქმის წარმოებას. ადვოკატმა ნ. გ.-მ მ. ლ.-ს განუმარტა, როგორ უნდა წარმართულიყო ეტაპობრივად საქმე.

2.2 მოწმის განმარტებით, შესაძლოა, ადვოკატისთვის მომაბეზრებელი იყოს ბევრი შეკითხვა საქმესთან დაკავშირებით, თუმცა ადვოკატი ვალდებულია კლიენტს აუხსნას საქმის ვითარება, შესაბამისად, მ. ლ.-ისთვის გაუგებარი იყო გარკვეული საკითხები, რის თაობაზეც სურდა ადვოკატისგან მიეღო პასუხი. მოწმის განმარტებით, ის დედასთან - მ. ლ.-სთან ერთად იმყოფებოდა სოფელში, რა დროსაც, მ. ლ. ადვოკატ ნ. გ.-ს ესაუბრებოდა ტელეფონის მეშვეობით.

2.3 მოწმის განცხადებით, მართალია ტელეფონი ხმამაღალ რეჟიმზე არ იყო ჩართული, თუმცა ესმოდა ადვოკატ ნ. გ.-ის საუბარი. ადვოკატი ხმამაღლა მიმართავდა საჩივრის ავტორს და აუგად მოიხსნიებდა, თუმცა მოწმის განცხადებით, მას დეტალურად არ ახსოვს ადვოკატ ნ. გ.-ის საუბარი. მოწმის განმარტებით, მ. ლ. სატელეფონო საუბრისას, ადვოკატს ეუბნებოდა, რომ დამშვიდებულიყო, მათ შორის ეკითხებოდა საქმესთან დაკავშირებით, „რატომ გაგრძელდა ეს საქმე ასე, რა იყო შემდგომ გასაკეთებელი“.

2.4 მოწმის განმარტებით, მან საჩივრის ავტორს გამოართვა ტელეფონი და ეცადა გასაუბრებოდა ადვოკატ ნ. გ.-ს და უთხრა, რომ დამშვიდებულიყო, თუმცა მან უპასუხა, „აღარ შემეხმიანოს დედაშენი“. ამ სატელეფონო საუბრის შემდგომ, გ. ჩ.-მ მ. ლ.-ს ურჩია, რომ აღარ ღირდა ასეთ ადვოკატთან თანამშრომლობა და სხვისთვის მიემართა დასახმარებლად.

2.5 მოწმის განცხადებით, როგორც მას ახსოვს ადვოკატისთვის საჩივრის ავტორს გადახდილი აქვს 750 ლარი. გ. ჩ.-ის განცხადებით, საქმის მასალების დაბრუნებასთან დაკავშირებით, თავად ესაუბრა ტელეფონის მეშვეობით, ადვოკატ ნ. გ.-ს, შემდგომ კი დოკუმენტების გამორთმევის მიზნით, შეხვდა ადვოკატის მეუღლეს - მ. ხ.-ს.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 2019 წლის 18 მარტს ადვოკატმა ნ. გ.-მ წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. 2019 წლის 01 აპრილს ადვოკატმა საპროცესო კოლეგიას წარუდგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. ადვოკატ ნ. გ.-ის განცხადებით, 2017 წლის 03 სექტემბერს საერთო ახლობლის მეშვეობით, დაუკავშირდა მ. ლ. შემდეგი სატელეფონო ნომრიდან XX, რომლის მეშვეობითაც შემდგომში უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. ადვოკატის განმარტებით, მ. ლ.-ს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ სარჩივარში სხვა საკონტაქტო ნომერი აქვს მითითებული - X.

3.2 ადვოკატი ნ. გ. პირველად საჩივრის ავტორს შეხვდა საადვოკატო ოფისში. თავის მხრივ, საჩივრის ავტორმა ადვოკატს მიაწოდა ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით, რაც ეხებოდა მისი დედის - ც. ლ.-ის სამკვიდრო ქონების მიღების თაობაზე დავას, მათ შორის, მ. ლ.-მ აცნობა, რომ დედის მიერ მის სახელზე გაცემული მინდობილობის საფუძველზე აწარმოებდა მის საქმეს.

3.3 საჩივრის ავტორმა ადვოკატ ნ. გ.-ს შეხვედრისას განუცხადა, რომ მანამდე ბევრ ადვოკატთან იყო ნამყოფი, აგრეთვე, ადვოკატს აძლევდა მითითებებს, თუ როგორ შეიძლებოდა ეწარმოებინა საქმე და ხშირ შემთხვევაში, საუბარს არ აცლიდა, რის შემდგომაც, ადვოკატმა ნ. გ.-მ საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ კარგად დაფიქრებულიყო და შემდგომ მიეღო გადაწყვეტილება, სურდა თუ საადვოკატო მომსახურების მიღება.

3.4 პირველი შეხვედრის შემდგომ, საჩივრის ავტორი დაუკავშირდა ადვოკატ ნ. გ.-ს და აცნობა, რომ გადაწყვიტა საადვოკატო მომსახურებაზე გაწევის თაობაზე შეთანხმებულიყვნენ. ადვოკატსა და მ. ლ.-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, მათ შორის შეთანხმების შესაბამისად, ჰონორარის პირველი ნაწილი საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადაუხადა 750 ლარის ოდენობით, მეორე ნაწილი უნდა გადახდილიყო სასამართლოში სხდომის გამართვამდე.

3.5 საჩივრის ავტორი ადვოკატს სთხოვდა საქმის შედეგთან დაკავშირებით, გარანტია მიეცა, თუმცა ადვოკატმა განუმარტა, რომ ვერ დაპირდებოდა საქმის მოგებას. ადვოკატმა მ. ლ.-ს საქმესთან დაკავშირებით განუმარტა, რომ ც. ლ.-ს ეკუთვნოდა სავალდებულო წილი.

3.6 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორმა მას გადასცა დოკუმენტები, რის შემდგომაც უნდა შეედგინა სარჩელი სასამართლოში წარსადგენად, რა პერიოდშიც საჩივრის ავტორი ადვოკატს ხშირად ეხმიანებოდა, რაც ხელშემშლელი ფაქტორი იყო ადვოკატისთვის, იმისათვის, რომ საქმესთან დაკავშირებით ემუშავა. საჩივრის ავტორი ნ. გ.-ს დაჟინებით სთხოვდა, რომ როგორც მას სურდა ისე წარდგენილიყო სასამართლოში სარჩელი. ადვოკატის განმარტებით, სწორედ საჩივრის ავტორის მითითების შესაბამისად წარდგენილი სარჩელი სასამართლომ ორჯერ არ მიიღო წარმოებაში, შემდგომ, კი მესამედ შეადგინა სარჩელი, რაც სასამართლომ მიიღო წარმოებაში. საჩივრის ავტორს არ სურდა სადავო ქონების შეფასების დასკვნა მომზადებულიყო, რადგან თანხა არ ჰქონდა.

3.7 საჩივრის ავტორის საქმე განსჯადობის მიხედვით ეკუთვნოდა ახალციხის რაიონულ სასამართლოს და სწორედ ამ საფუძვლით წარადგინა ადვოკატმა სარჩელი აღნიშნულ სასამართლოში, რის თაობაზეც საჩივრის ავტორი ინფორმირებული იყო. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის მიერ მიწოდებული მოპასუხეთა საკონტაქტო ინფორმაცია მიუთითა სარჩელში და მას თავისი ინიციატივით არასწორი ინფორმაცია არ მიუთითებია.

3.8 ადვოკატის განმარტებით, სარჩელს დაურთო საჩივრის ავტორის მიერ მიწოდებული დოკუმენტები, რომელთა ასლების გადაღებაც უზრუნველყო სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელმა და მას სასამართლოსთვის „შავი ფურცლები“ არ მიუწოდებია.

3.9 ადვოკატმა ნ. გ.-მ მ. ლ.-ს წინასწარ განუმარტა, რომ ვინაიდან, მას ყავდა მცირეწლოვანი ბავშვები, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სხდომაზე დასწრებას ვერ შეძლებდა, მის ნაცვლად, სხდომაზე მისი მეუღლე ადვოკატი მ. ხ. დაესწრებოდა, რომელიც არა სისხლის სამართლის სპეციალიზაცის მქონეა, არამედ, საერთო სპეციალიზაციის.

3.10 ადვოკატი ნ. გ. სრულყოფილად აწვდიდა ინფორმაციას საჩივრის ავტორს, რომელიც ყოველდღიურად რამდენჯერმე უკავშირდებოდა მას. ადვოკატის განცხადებით, მას შემდეგ, რაც საჩივრის ავტორს აცნობა, რომ ჰონორარის მეორე ნაწილი უნდა გადაეხადა, საჩივრის ავტორმა შეურაცხყოფა მიაყენა და ხმამაღალი ტონით მიმართა, რაც საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის საფუძველი გახდა. კერძოდ, ადვოკატმა ნ. გ.-მ მიმართა სასამართლომ, იმის თაობაზე, რომ ის აღარ წარმოადგენდა მ. ლ.-ის ინტერესებს.

3.11 საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდგომ, ადვოკატმა საჩივრის ავტორს დაუბრუნა საქმის მასალები. ადვოკატის განცხადებით, მან საქმისწარმოება მოსამზადებელ ეტაპზე შეწყვიტა, რა დროსაც, საჩივრის ავტორს ჰქონდა შესაძლებლობა და გონივრული დრო, მიემართა სხვა ადვოკატისთვის, ისე რომ მისი ინტერესები არ დაზარალებულიყო.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი ნ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი№/ სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი. ადვოკატის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

4.2 მ. ლ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 26 თებერვალს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა არ აწარმოა კვალიფიციურად საჩივრის ავტორის საქმე, მათ შორის, უზღუდავდა საჩივრის ავტორს საქმესთან დაკავშირებით მიეღო დეტალური ინფორმაცია.

6.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. გ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის შესახებ:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ-ის) მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად .... უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6 მუხლი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ “.

6.3 ადვოკატი ვალდებულია კლიენტს გაუწიოს კვალიფიციური მომსახურება, მათ შორის განახორციელოს საქმესთან დაკავშირებით იურიდიული მოქმედებები კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ, მიაწოდოს ინფორმაცია არამხოლოდ მის მიერ გასაწევ და შესრულებულ იურიდიული მოქმედებების თაობაზე, არამედ, ურთიერთობის დაწყების ეტაპიდანვე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საქმისწარმოებისთვის საჭირო ხარჯების თაობაზე, მათ შორის გადასახდელი ჰონორარის ოდენობაზე.

6.4 ეთიკის კომისიის პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ადვოკატსა და კლიენტს შორის წერილობითი ფორმით შედგეს შეთანხმება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე. წერილობითი შეთანხმება ადვოკატისა და კლიენტისათვის თანაბრად უპირატესია, რადგან კონკრეტულად ჩანს, რა იყო შეთანხმების საგანი, რა ოდენობის ჰონორარის გადახდაზე შეთანხმდნენ მხარეები. დავის შემთხვევაში, მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, დადგინდეს კლიენტს რა საკითხზე სურდა იურიდიული დახმარება და რა ოდენობის ჰონორარი უნდა გადაეხადა ადვოკატისათვის ამაში.

6.5 საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კლიენტისათვის, ადვოკატის მიერ მთელი საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი კონტროლი.

6.6 ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“(ეთიკის კომისიის 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N094/11)

6.7 „ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება მისი საქმის წარმოების შესახებ და, ბუნებრივია, ასეთი განმარტების შედეგად, თუკი მისაღებია კლიენტისათვის, საბოლოოდ შედგება თანხმობა. ეს საკითხი პირდაპირაა დაკავშირებული კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპთან, რადგან ყოველთვის უნდა იცოდეს კლიენტმა, რამდენად შეწვდება ის ფინანსურად სამართლებრივ მომსახურებას, რომელსაც ითხოვს ადვოკატისაგან კონკრეტული იურიდიული ინტერესის მისაღწევად“. (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 009/14, 18 აპრილი, 2014 წელი)

6.8 განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციების და მტკიცებულებების მიხედვით ირკვევა, საჩივრის ავტორი, როგორც მინდობილი პირი წარმოადგენდა დედის - ც. ლ.-ის ინტერესებს სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებულ დავაში. მოცემული საქმის თაობაზე იურიდიული მომსახურების მიღების მიზნით, 2017 წლის სექტემბრის თვეში საჩივრის ავტორმა მ. ლ.-მ მიმართა ადვოკატ ნ. გ.-ს (2017 წლის 06 სექტემბერის მინდობილობა, ს.ფ. 56).

6.9 საჩივრის ავტორი თავის პრეტენზიაში უთითებს, რომ მის მიერ შეგროვებული დოკუმენტები გადასცა ადვოკატ ნ. გ.-ს, რომელსაც საქმის წინსვლისთვის მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია. მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, ადვოკატმა ნ. გ.-მ, საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებით, შეადგინა სარჩელი (ს.ფ.26) და წარადგინა ახალციხის რაიონულ სასამართლოში 2017 წლის 11 ოქტომბერს. დავის საგანს წარმოადგენდა: სამკვიდრო ქონებიდან წილის განსაზღვრა, მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა, ჩუქების და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. ადვოკატმა ნ. გ.-მ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, რაც ახალციხის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო სადავო ქონებას (განჩინება; ს.ფ.37).

6.10 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატმა ნ. გ.-მ არ გააცნო სარჩელი ისე წარუდგინა ის სასამართლოს, არ მიაწოდა ინფორმაცია, რომ ახალციხის რაიონულ სასამართლოსთვის უნდა წარედგინა, სარჩელში მიუთითა არასწორი ინფორმაცია მოპასუხე მხარის მიერ სამკვიდრო ქონების მიღების ვადასთან დაკავშირებით და მოპასუხე მხარის საკონტაქტო ინფორმაცია. ადვოკატი არ იზიარებს საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ პრეტენზიას და განმარტავს, რომ ახალციხის რაიონული სასამართლო იყო განსჯადი სასამართლო, საჩივრის ავტორი დაინტერესებული იყო

მისი საქმისწარმოებით და ხშირად ეკონტაქტებოდა მას. ადვოკატმა კოლეგიას წარუდგინა 2017 წლის 01 სექტემბრიდან 2017 წლის 01 დეკემბრამდე განხორციელებული შემავალი-გამავალი ზარებისა და სმს-ების დეტალური ნუსხა, სადაც ასახულია მითითებულ დღეებში ადვოკატისა და საჩივრის ავტორს შორის განხორციელებული საუბრის სიხშირე (ს.ფ.96). ადვოკატი უთითებს, რომ გარდა, სატელეფონო საუბრებისას, საჩივრის ავტორი ხშირად აკითხავდა საადვოკატო ოფისში.

6.11 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ კლიენტს ადვოკატი მიმართავს იმ მიზნით, რომ მან გაუწიოს არამხოლოდ იურიდიული მომსახურება, არამედ, კლიენტმა მისგან მიიღოს პერიოდულად ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატ-კლიენტის კომუნიკაციის პერიოდულობა უნდა იყოს გონივრულ ფარგლებში და იმ სიხშირის, რომ კლიენტის ინტერესებს არ მიადგეს ზიანი და თავისთავად, ადვოკატსაც ჰქონდეს შესაძლებლობა განახორციელოს საადვოკატო მომსახურება. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმის დასადასტურებლად, რომ ადვოკატი არ აწვდიდა ინფორმაციას საჩივრის ავტორს საქმის მიმდინარეობის თაობაზე, მათ შორის უზღუდავდა მასთან დაკავშირებას.

6.12 საჩივრის ავტორის პრეტენზიის მიხედვით, მას ჰქონდა მოძიებული საქმესთან დაკავშირებით დოკუმენტები, რომელიც გადასცა ადვოკატ ნ. გ.-ს, რომელსაც თავის მხრივ უნდა მოეძიებინა დამატებით დოკუმენტები, რაც მისი, როგორც ადვოკატის მოვალეობა იყო. საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა სარჩელს დაურთო დოკუმენტის ისეთი ასლი, რომლის წაკითხვა შეუძლებელი იყო.

6.13 მოცემულ შემთხვევაში, კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ვალდებულია კლიენტის საქმესთან დაკავშირებით, განახორციელოს აუცილებელი საპროცესო მოქმედებები, რაც კლიენტის ინტერესებისთვისაა სასარგებლო, მათ შორის მოიძიოს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლოში, თუმცა კოლეგიის უფლებამოსილებას არ წარმოადგენს შეაფასოს, ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურების ხარისხი, მათ შორის მიუთითოს, კონკრეტული მტკიცებულება, რაც კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ უნდა მოიძიოს ადვოკატმა. მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება ის გარემოება, რომ ადვოკატმა არ განახორციელა კლიენტის სასარგებლო იურიდიული მოქმედებები, მათ შორის არ მოიძია საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

6.14 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა არ გაუწია სათანადო იურიდიული მომსახურება საჩივრის ავტორს გადახდილი ჰონორარის ფარგლებში.

6.15 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. გ.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის შესახებ:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ-ის) მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მიხედვით: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

6.16 კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი ადვოკატის ერთ–ერთი ძირითადი ვალდებულებაა. აღსანიშნავია, რომ ეს ვალდებულება მჭიდროდაა დაკავშირებული კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებასთან. ეთიკის კოდექსის თანახმად, ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საქმის მსვლელობის შესახებ.

6.17 ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“(ეთიკის კომისიის 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N094/11)

6.18 ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა.

6.19 მოცემულ შემთხვევში თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით, უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ ადვოკატმა მიიღო საადვოკატო მომსახურების ჰონორარის ნაწილი, რა ფარგლებშიც ადვოკატმა საჩივრის ავტორს გაუწია საადვოკატო მომსახურება. განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საკმარისი ვარაუდი იმის დასაბუთებლად, სახეზეა ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარის დაუბრუნებლობა.

6.20 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №025/19 ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ /სიითი № არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/